სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 23 0000453878

25/04/2023

შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის
სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2023 წლის 24 აპრილს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №416133) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 მარტის № 297647 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
2023 წლის 25 აპრილს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 97-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (ს/კ: 434159091) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №416133).

2. სააპელაციო საბჭოს 2023 წლის 25 აპრილის №453595 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა